

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
სახელმწიფო კოლეჯი

პროფესიული საგანმანათლებლო,
პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების



საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: ე. ნინოშვილის ქ. 55

ტელ: (+995) 593 324518

ვებ-გვერდი: www.sportcolle.ge

ელ-ფოსტა: sportgeocollege@gmail.com

თბილისი 2024

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯი

სპორტის მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მოღვაწეობა, ჩვენს ქვეყანაში 1933 წლიდან იღებს სათავეს. ამ წელს დაარსდა ქვეყნის ერთერთი უძველესი პროფესიული სასწავლებელი - ფიზკულტურის ტექნიკუმი. მოგვიანებით ტექნიკუმს მწვრთნელთა სკოლა ეწოდა. 1977 წელს კი კვლავ დაუბრუნდა ფიზკულტურის ტექნიკუმის სახელი. 2000 წელს ტექნიკუმმა სპორტული კოლეჯის სახელით განაგრძო მოღვაწეობა. 2009 წელს სპორტის კოლეჯს სტატუსი შეუჩერდა. ამ ნაბიჯით მოხდა სპორტის მიმართულებით საგანმანათლებლო პროცესის ლიკვიდაცია, რადგან ერთი წლით ადრე სტატუსი შეუჩერდა უმაღლეს სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებას. შედეგად მივიღეთ რეალობა, როდესაც შეიქმნა ძალიან მოცულობითი ვაკუუმი. კვალიფიციური სპეციალისტების დეფიციტმა გამოიწვია უამრავი პრობლემა და პირველ რიგში ამ პროცესებმა მასობრივი სპორტის განვითარებაზე იმოქმედა. 6 წლიანი პაუზის შემდეგ, 2014 წლის გაზაფხულზე სპორტის კოლეჯს კვლავ აღუდგა სტატუსი. სპორტის კოლეჯმა 2014 წლის აგვისტოში წარმატებით გაიარა ავტორიზაცია და კვლავ დაიწყო საგანმანათლებლო მოღვაწეობა. პირველივე წელს სპორტის კოლეჯში მოხვედრის მსურველთა რიცხვი 3-ჯერ აჭარბებდა ადგილების რაოდენობას. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ვითარებაა მომდევნო წლებშიც გაგრძელდა და დღეს ჩვენს კოლეჯში 5 საგანმანათლებლო პროგრამაზე 3564 სტუდენტი სწავლობს.

არსებობის 85 წლიანი ისტორიის მანძილზე სპორტის კოლეჯის კურსდამთავრებული გახდა არაერთი სახელოვანი სპორტსმენი თუ მწვრთნელი, რომელთა შორის არიან მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონები და პრიზიორები: ლაშა ტალახაძე, მურმან თურმანიძე, თათია ლორთქიფანიძე, ზაზა ნადირაძე, თეონა ბოსტაშვილი, სანდრო ბაზაძე, ვახტანგ ბალავაძე და სხვები. 2014 წლიდან დღემდე, ხუთწიანი არსებობის მანძილზე, სპორტის კოლეჯმა 300-ზე მეტი კურსდამთავრებული გამოუშვა. მათი უმეტესობა წარმატებით არის დასაქმებული სპეციალობების მიხედვით.

გასულ წლებში კოლეჯი 6 საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებდა. ამჯერად კოლეჯში მომზადება/გადამზადების სასერტიფიკატე პროგრამები ხორციელდება. ვფიქრობთ, ჩვენი კოლეჯი კიდევ ბევრ საინტერესო და დასაქმებაზე ორიენტირებულ პროგრამას შესთავაზებს დაინტერესებულ პირებს. ვინაიდან, ჩვენი კოლეჯი მომავალშიც აპირებს თანამშრომლობა გააგრძელოს პარტნიორ ორგანიზაციებთან, რაც საწინდარია ჯანმრთელო ცხოვრების ხელშეწყობისა და დანერგვის მიმართულებით.

მისია - სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის, როგორც ჩვენი ქვეყნის ერთადერთი სასპორტო მიმართულების პროფესიული დაწესებულების მისიაა, საეთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ჯანსაღი ცხოვრების წესისა და მასობრივი სპორტის დანერგვა/ განვითარებას და შრომის ბაზარზე არსებული დეფიციტისა და მოთხოვნების უზრუნველყოფას.

მისიის მისაღწევად კოლეჯი უზრუნველყოფს:

1. თითოეული სტუდენტის განათლების, მომზადებისა და განვითარებისთვის აუცილებელ პირობებს.
2. სწავლებისა და სპორტული პროცესების ურთიერთშერწყმასა და სპორტული და მასთან დაკავშირებული დარგების საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტურად წარმართვას
3. შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადებას. მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლას, რაც პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების შეთავაზებით ხორციელდება;
4. კოლეჯი უზრუნველყოფს თანამშრომლობას პარტნიორ ორგანიზაციებთან, სპორტულ ფედერაციებთან და კლუბებთან.
5. პედაგოგებისა და პერსონალის მუდმივ განვითარებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.
6. სპორტის კოლეჯი, თავისი საქმიანობით, მიზანმიმართულად ახორციელებს მასობრივი სპორტისა და ჯანმრთელი ცხოვრების წესის პროპაგანდას და მეტი ადამიანის ჩართულობას ამ სფეროში.

ხედვა - 2030 წლისთვის სპორტის სფეროში აღმოფხვრილია პროფესიონალი კადრების დეფიციტი. სპორტის კოლეჯი, როგორც სასპორტო მიმართულების პროფესიული სასწავლებელი არის ლიდერი დაწესებულება პროფესიულ განათლებაში კავკასიის რეგიონის მასშტაბით.

კოლეჯის ღირებულებები - სპორტის კოლეჯის მთავარ ღირებულებას პროფესიონალიზმი, გუნდური მუშაობა და ღიაობა წარმოადგენს. ჩვენთვის მნიშვნელოვანია სამართლიანობა, თანასწორობა და ადამიანის უფლებების დაცვა ისეთ მნიშვნელოვან ასპექტთან მიმართებაში, რასაც გუნდური მუშაობის პრინციპები და საზოგადოების მიმართ პასუხისმგებლობა ქვია.

სპორტის კოლეჯში არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართულები არიან კვალიფიციური და გამოცდილი პედაგოგები, დარგის სპეციალისტები. გაფორმებული გვაქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები საწარმოო და სასწავლო პრაქტიკის ობიექტებთან. როგორც ჩვენი ქვეყნის ერთადერთმა სასპორტო მიმართულების პროფესიული დაწესებულებამ, ჩვენ მიზნად დავისახეთ მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება და სპორტის სფეროში პროფესიული განათლების მიმართულებით მიმზიდველი გარემოს შექმნა. ამ მიზნით ჩვენი კოლეჯი ჩართული იყო და მომავალშიც გეგმავს ჩაერთოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ყველა პროექტსა და ტრენინგში. სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი კოლეჯი ერთერთი პირველი იყო, რომელიც ჩაერთო მოდულური სწავლების პროცესში. სპორტის კოლეჯი ასევე ზრუნავს პედაგოგებისა და ადმინისტრაციის კვალიფიკაციის ამაღლებაზე. კოლეჯის თანამშრომლები მონაწილეობდნენ არაერთ ტრენინგში. 2017 წელს კოლეჯის 14 პედაგოგს გადაეცა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სერთიფიკატი.



ს ა რ ჩ ე ვ ი

სპორტის ინსტრუქტორი/Sports instructor	
ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა/Information Technology Support.....	11
კრივის ინსტრუქტორი (თბილისი) - პროფესიული მომზადების პროგრამა.....	15
ძიუდოს ინსტრუქტორი (თბილისი, ქუთაისი) - პროფესიული მომზადების პროგრამა	18
სპორტული აკრობატიკის ინსტრუქტორი (თბილისი)- პროფესიული მომზადების პროგრამა	24
ფეხბურთის ინსტრუქტორი (თბილისი, ქუთაისი) - პროფესიული მომზადების პროგრამა	30
ცურვის ინსტრუქტორი თბილისი - პროფესიული მომზადების პროგრამა	36
სპორტული მასაჟისტი (თბილისი, ქუთაისი)- პროფესიული გადამზადების პროგრამა	40
თავისუფალი ჭიდაობის ინსტრუქტორი (თბილისი, ქუთაისი) პროფესიული მომზადების პროგრამა.....	45

2024 წელს კოლეჯი აპირებს უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „სპორტის ინსტრუქტორის“ დამატებას. ინფორმაციის გაზიარების მიზნით და ანონსის სახით გთავაზობთ აღნიშნული პროგრამის მონაცემებს!!!

სპორტის ინსტრუქტორი/ Sports Instructor

1. სარეგისტრაციო ნომერი 10.1.1
2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სპორტის ინსტრუქტორობაში; Higher Vocational Qualification in Sports Instruction

ISCED კოდი: 1014 სპორტი - შეისწავლის ამა თუ იმ კონკრეტული სპორტის სახეობის ტექნიკასა და უნარებს. აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით: სპორტის ტრენერის/მწვრთნელის პროგრამები; კონკრეტული სპორტის სახეობის ტექნიკა და უნარები; მედიატორების/მსაჯებისა და სპორტის სხვა ოფიციალური პირების მომზადება. ISCO კოდი: 3422 სპორტული მწვრთნელები, ინსტრუქტორები და თანამდებობის პირები. ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი - 93.11.0 სპორტული ობიექტების საქმიანობები; 93.12.0 სპორტული კლუბების საქმიანობები
3. **პროგრამის მიზანი:** სპორტის ინსტრუქტორის პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მიზანია მოამზადოს კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი კადრი, რომელსაც ექნება სპორტული ინსტრუქტორისთვის შესაბამისი ცოდნა და უნარ-ჩვევები, მათ შორის სპორტის სახეობების ძირითადი პრინციპების, წესების, უსაფრთხოების პროცედურებისა და ტექნიკური მახასიათებლების შესახებ. პროგრამის მიზანია სპორტული წვრთნის სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით შეძლოს სპორტის შესაბამის სახეობაში სასწავლო-საწვრთნო ინსტრუქტაჟის წარმართვა, სტრატეგიული გეგმის (მოკლევადიანი და გრძელვადიანი) განხორციელება. სპორტსმენის წახალისების, მოტივაციის ამაღლებისა და მომზადების უზრუნველყოფა.
4. **დაშვების წინაპირობა:**
 - სრული ზოგადი განათლება;
 - ასაკი არანაკლებ 18 წელი;
 - კონკურსი - სპორტული ტური

5. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

სპორტის ინსტრუქტორი არის სპეციალისტი, რომელიც სპეციალური სავარჯიშო პროგრამების შესაბამისად ახორციელებს ფიზიკური პირის ან პირთა ჯგუფის გაჯანსაღებას და ეხმარება მათ სპორტის სახეობის შესაბამისი ტექნიკური უნარების დახელოვნებაში. სპორტის ინსტრუქტორი მუშაობს მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსპერსონებთან, მათი ფიზიკური კონდიციების გასაუმჯობესებლად და სპორტულ შეჯიბრებებში მაღალ დონეზე მონაწილეობის მიზნით.

სპორტის ინსტრუქტორი მუშაობს ჯგუფებთან ან ინდივიდუალურად, აწარმოებს დამოუკიდებელ პრაქტიკას. ის მონაწილეობს მომავალ სპორტსმენთა რეკრუტირების პროცესში. აფასებს ინდივიდის ფიზიკურ შესაძლებლობებს და ადგენს პირის ან პირთა ჯგუფის მომზადების აქტივობათა გეგმას მეთოდოლოგიის შესაბამისად, ახორციელებს ინსტრუქტაჟს და პროგრესის დინამიკის კონტროლს, მონოტონური გადატვირთვების თავიდან ასაცილებლად ვარჯიშის სქემაში შეაქვს შესაბამისი მრავალფეროვანი აქტივობები. ახდენს პროცესში ჩართული პირების სპორტული ტრავმების პრევენციას, ზედმიწევნით იცავს უსაფრთხოების ნორმებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას. სპორტის ინსტრუქტორის ტიპურ სამუშაო გარემოს წარმოადგენს სპორტული დარბაზები, გარე მოედნები, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრები და მსგავსი დანიშნულების სივრცეები/დაწესებულებები. მისი სამუშაო დრო როგორც წესი, ნორმირებულია, თუმცა საჭიროებს ყურადღების გამუდმებულ მობილიზაციას. სპორტის ინსტრუქტორს საკუთარი ფუნქციამოვალეობების განხორციელების მიზნით, ურთიერთობა აქვს, როგორც სპორტის მწვრთნელებთან, ასევე, სპორტის სფეროში მომუშავე სხვა თანამდებობის პირებთან.

სპორტის ინსტრუქტორი შესაძლოა დასაქმდეს:

- ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ-გამაჯანსაღებელ კლუბებში;
- სპორტულ ფედერაციებში;
- ადგილობრივ, სამხარეო და სპორტის ორგანიზაციებში;
- სასტუმროებსა და დასასვენებელ კომპლექსებში;
- სხვადასხვა ასაკის საკლუბო თუ ნაკრებ გუნდებში;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლად (კანონმდებლობით დადგენილი დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ, ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- სამოყვარულო, მასობრივ და დაწყებით შემსწავლელ ჯგუფებში.

6. პროგრამის სტრუქტურა და მოდულები

6.1. სპორტის ინსტრუქტორის უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 97 კრედიტი, რომელთაგან 13 კრედიტი არის სავალდებულო ზოგადი მოდული, 84 კრედიტი - სავალდებულო საერთო პროფესიული მოდული, 2 წელი 64 კვირა.

6.2. მოდულების, ქართული ენა A2 (15 კრედიტი) და ქართული ენა B1 (15 კრედიტი) გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს კოლეჯის შერჩევის დებულების შესაბამისად, რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. შესაბამისად, კვალიფიკაციის მისანიჭებლად მათ უნდა დააგროვონ ჯამურად 127 კრედიტი. სწავლების სავარაუდო ხანგრძლივობაა 84 სასწავლო კვირა.

სავალდებულო ზოგადი მოდულები - 13 კრედიტი			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1	მეწარმეობა	სრული ზოგადი განათლება	4
2	უცხოური ენა	სრული ზოგადი განათლება	3
3	ინფორმაციული წიგნიერება	სრული ზოგადი განათლება	2
4	სამოქალაქო განათლება	სრული ზოგადი განათლება	2
5	პიროვნული და ინტერპერსონალური კომუნიკაციები	სრული ზოგადი განათლება	2
სავალდებულო საერთო პროფესიული მოდულები - 84 კრედიტი			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1	სამუშაოს ორგანიზება	სრული ზოგადი განათლება	5
2	უსაფრთხო სავარჯიშო გარემო	სრული ზოგადი განათლება	5
3	პროფესიული თვითგანვითარება	სრული ზოგადი განათლება	5
4	საწვრთნო და საშეჯიბრო პროცესი	სრული ზოგადი განათლება	8
5	საწვრთნო და სპორტულ გამაჯანსაღებელი პროცესი	სრული ზოგადი განათლება	8
6	ოლიმპიური მოძრაობა	სრული ზოგადი განათლება	5
7	გამოყენებითი ტანვარჯიში	სრული ზოგადი განათლება	5
8	მძლეოსნობა და საერთო ფიზიკური მომზადება	სრული ზოგადი განათლება	6

9	გამოყენებითი ცურვა	სრული ზოგადი განათლება	5
10	ადამიანის ანატომიის საფუძვლები	სრული ზოგადი განათლება	6
11	ადამიანის ფიზიოლოგიის საფუძვლები	სრული ზოგადი განათლება	6
12	პირველადი გადაუდებელი დახმარება	სრული ზოგადი განათლება	2
13	სპორტის ფსიქოლოგიის საფუძვლები	სრული ზოგადი განათლება	6
14	სპორტის სახეობები	სრული ზოგადი განათლება	12
ქართული ენის მოდულები 30 კრედიტი			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1	ქართული ენა A2	სრული ზოგადი განათლება	15
2	ქართული ენა B2	სრული ზოგადი განათლება	15

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება მოდულური მიდგომით. შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევითი სტატუსის მოდულებს.

„სპორტის ინსტრუქტორი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის ბაზაზე - მის: ქ. თბილისი ე.ნინოშვილის ქ. #55; ქ. ქუთაისი, გაპონოვის 11;

8. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის.

9. კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა ჯამურად უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მოდულებით გათვალისწინებული 97 კრედიტი.

ხოლო პროგრამის 7.2. ქვეპუნქტით განსაზღვრულმა პროფესიულმა სტუდენტებმა 127 კრედიტი.

10. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა/Information Technology Support

8. სარეგისტრაციო ნომერი 06112-3

9. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში / Basic Vocational Qualification in Information Technology Support;

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება - კოდი 0612.

10. პროგრამის მიზანი: ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის პროფესიული პროგრამის მიზანია, ისეთი პროფესიული პროგრამის დანერგვა, რომელიც ინფორმაციის ტექნოლოგიების სფეროსთვის უზრუნველყოფს კონკურენტუნარიან კადრის აღზრდას; პერსონალური კომპიუტერის აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადებას, რომელიც ფლობს აპარატურული უზრუნველყოფისა და ოპერაციული სისტემების დაყენების, განახლების, დაზიანებების აღმოფხვრის, ოპტიმიზაციის, დიაგნოსტიკებისა და მომსახურებისათვის საჭირო სპეციალურ ტექნიკურ უნარ-ჩვევებს; აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.

11. დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება

12. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტად ნებისმიერ სახელწიფო/მუნიციპალურ ორგანიზაციაში ან/და კერძო კომპანიაში, სადაც გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები.

13. პროგრამის სტრუქტურა და მოდულები

ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა/Information Technology Support			
ზოგადი მოდულები - 17 კრედიტი			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1	ინფორმაციული წიგნიერება 1		3
2	ინტერპერსონალური კომუნიკაცია		3
3	რაოდენობრივი წიგნიერება		2
4	მეწარმეობა 1		2
5	სამოქალაქო განათლება	საბაზო განათლება	3
6	უცხოური ენა		4
საერთო პროფესიული მოდულები - 31 კრედიტი			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1	კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების აპარატურული უზრუნველყოფა		7
2	კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა		6
3	კომპიუტერული ქსელის ორგანიზებისა და გამოყენების პრინციპები		7
4	კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების უსაფრთხოება და პრობლემების აღმოფხვრა		7
5	მობილური, Linux და OS X ოპერაციული სისტემები		4
პროფესიული მოდულები 13 კრედიტი			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1	გაცნობითი პრაქტიკა - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში		1
2	პრაქტიკული პროექტი - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში	ყველა მოდული	6

3	დარგობრივი ინგლისური ენა - IT Support		6
ქართული ენის მოდულები 15 კრედიტი			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1	ქართული ენა A2	საბაზო განათლება	15

14. კვალიფიკაციების შესაბამისი სწავლის შედეგები:

1. ააწყოს და დააკომპლექტოს პერსონალური კომპიუტერი;
2. დაამონტაჟოს პერიფერიული მოწყობილობები;
3. დააინსტალიროს და გამართოს ოპერაციული სისტემი;
4. დააინსტალიროს გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფა;
5. უზრუნველყოს ოპერაციული სისტემის უსაფრთხოება;
6. განასხვავოს ქსელების ფუნდამენტური პრინციპები და ტიპები;
7. გაარჩიოს ქსელში ინფორმაციის მიმოცვლის მოდელების (TCP/IP, OSI) შრეები და ამ შრეებზე მომუშავე პორტები და ოქმი;
8. გამართოს მარტივი სადენიანი და უსადენო შიდა ქსელი;
9. შეაფასოს აპარატურული და პროგრამული რისკები და განსაზღვროს პრევენციული ზომები;
10. მოახდინოს აპარატურული და პროგრამული პრობლემის იდენტიფიცირება და აღმოფხვრას გაუმართაობა.

15. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება მოდულური მიდგომით. შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევითი სტატუსის მოდულებს.

„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის ბაზაზე - მის. ე.ნინოშვილის ქ. #55

16. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

17. კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა ჯამურად უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მოდულებით გათვალისწინებული 61 კრედიტი.

ხოლო პროგრამის 7.2. ქვეპუნქტით განსაზღვრულმა პროფესიულმა სტუდენტებმა 76 კრედიტი.

18. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

კრივის ინსტრუქტორი (თბილისი) - პროფესიული მომზადების პროგრამა

ზოგადი ინფორმაცია	
პროგრამის სახელწოდება	კრივის ინსტრუქტორი
პროგრამის სახე	პროფესიული მომზადება
განხორციელების ენა	ქართული
სფერო	10 მომსახურებები
პარტნიორები	კრივის ეროვნული ფედერაცია; ძიუდოს ეროვნული ფედერაცია
კვალიფიკაციის დონე	მე-4
პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	9
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა	20-25სთ
მსმენელთა საერთო რაოდენობა პროგრამაზე	8
მსმენელთა მაქსიმალური რაოდენობა ჯგუფში	8
მსმენელთა მინიმალური რაოდენობა ჯგუფში	6
პროგრამის მიზანი	<p>კრივის ინსტრუქტორის პროფესიული მომზადების პროგრამის მიზანია მოამზადოს კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი კადრი, რომელსაც ექნება სპორტული ინსტრუქტორისთვის შესაბამისი ცოდნა და უნარ-ჩვევები, მათ შორის კრივის ძირითადი პრონციპების, წესების, უსაფრთხოების პროცედურებისა და ტექნიკური მახასიათებლების შესახებ. პროგრამის მიზანია სპორტული წვრთნის სხვადასხვა მეთოდიკების გამოყენებით მსმენელმა შეძლოს სპორტის შესაბამის სახეობაში სასწავლო-საწვრთნო ინსტრუქტაჟის წარმართვა, სტარატეგიული გეგმის (მოკლევადიანი და გრძელვადიანი) განხორციელება. სპორტსმენის წახალისების, მოტივაციის ამაღლებისა და მომზადების უზრუნველყოფა. კრივში მსაჯობის სპეციფიკა და წარმართვა. სამუშაო გარემოს ორგანიზება უსაფრთხოების წესების დაცვით და ეფექტური კომუნიკაცია.</p>
პროგრამის აღწერა	<p>კრივის პროფესიული მომზადების პროგრამაზე სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ სრულწლოვან პირს, რომელსაც აქვს სურვილი მოკლე დროში მიიღოს კვალიფიციური და კონკრეტული ცოდნა/უნარები. პროგრამა შემუშავებულია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად და უზრუნველყოფს აღნიშნული მიმართულებით საჭირო უნარებისა და კომპეტენციების გაუმჯობესებას, რაც საჭიროა კვალიფიციური ინსტრუქტორის მომზადებისთვის. პროგრამის წარმატებით განხორციელებისთვის სპორტის კოლეჯს გააჩნია შესაბამისი მატერიალური, ადამიანური და საგანმანათლებლო რესურსი, სათანადოდ აღჭურვილი C გარემო. პროგრამას ახორციელებენ მაღალკვალიფიციური პედაგოგები, რომლებსაც აღნიშნული მიმართულებით მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ.</p>

კრივის ინსტრუქტორის პროფესიული მომზადების კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს როგორც ცალკეულ ინდივიდებთან, ასევე მცირე ჯგუფებთან, დამწყებ და კვალიფიციურ სპორტსმენებთან, სპორტულ დარბაზებსა და სპორტულ კლუბებში, საზოგადოებრივ ცენტრებსა და სარეკრეაციო სივრცეებში. სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს დანართთან ერთად, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდნა და უნარები.

დაშვების წინაპირობები

ასაკი 18 წელი
სპორტული ტურის შედეგები (იხ. სპორტული ტურის დებულება)
სამოტივაციო გასაუბრება

სწავლის შედეგები

სხვა სწავლის შედეგები

1. სამუშაოს ორგანიზება და ეფექტური კომუნიკაცია
2. საწვრთნო პროცესის დაგეგმვა
3. საწვრთნო პროცესის წარმართვა
4. მსაჯობა სასწავლო-საწვრთნო და საშეჯიბრო პროცესის ფარგლებში
5. კვებისა და ჰიდრატაციის მნიშვნელობის განსაზღვრა კრივში ჩართული პირების საჭიროებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით
6. უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა

დასაქმების სფერო/სფეროები

10 - მომსახურებები (ფართო სფერო)
1014 - სპორტი (დეტალური სფერო)

პროგრამის შემუშავების საფუძვლები

- მწვრთნელის პროფესიული სტანდარტი

ლოკაცია

ლოკაცია:

რეგიონი	რაიონი	მისამართი
---------	--------	-----------

თბილისი	თბილისი	ე. ნინოშვილის 55
თბილისი	თბილისი	ბელიაშვილის ქ. 5

სასწავლო რესურსი			
N	ტიპი	დასახელება	მოკლე აღწერა
1	სახელმძღვანელო	„მოკრივის საერთო ფიზიკური და სპეციალური მომზადება“.	ჯ. კვანტალიანი; თბილისი, 2008წ.
2	სახელმძღვანელო	„ფიზ.აღზრდის თეორია და მეთოდკა“	გ. კახიძე; თბილისი 2013წ.
3	სახელმძღვანელო	სპორტული წვრთნის საფუძვლები	ლ.მატვეევი; თბილისი 1987წ

ადამიანური რესურსები	
სახელი	ჯემალ
გვარი	კვანტალიანი
დაბადების თარიღი	28.03.1938წ.
პირადი ნომერი	01024048965
სქესი	მამრობითი
მოქალაქეობა	საქართველო
განათლება	
ტიპი	უმაღლესი
დაწესებულება	საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტი საქ. სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
კვალიფიკაცია	სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა სპორტის დამსახურებული მოღვაწე- სპორტის სახეობა კრივი
სამუშაო გამოცდილება	
1966-2004წ. ფიზიკური კულტურისა და სპორტის ტექნიკუმი, პედაგოგი	
2014 წლიდან დღემდე - სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის პედაგოგი (კრივი)	

ძიუდოს ინსტრუქტორი (თბილისი, ქუთაისი) - პროფესიული მომზადების პროგრამა

ზოგადი ინფორმაცია	
პროგრამა - უფლების მოპოვებით	
პროგრამის სახელწოდება	ძიუდოს ინსტრუქტორი
პროგრამის სახე	პროფესიული მომზადება
განხორციელების ენა	ქართული
სფერო	10 მომსახურებები
პარტნიორები	სპორტის უნივერსიტეტი
კვალიფიკაციის დონე	მე-4
პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	14
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა	20-25სთ
მსმენელთა საერთო რაოდენობა პროგრამაზე	24
მსმენელთა მაქსიმალური რაოდენობა ჯგუფში	12
მსმენელთა მინიმალური რაოდენობა ჯგუფში	8
პროგრამის მიზანი	<p>ძიუდოს ინსტრუქტორის პროფესიული მომზადების პროგრამის მიზანია მოამზადოს კვალიფიციური სპეციალისტი, რომელსაც ექნება სპორტული ინსტრუქტორისთვის შესაბამისი ცოდნა და უნარ-ჩვევები, მათ შორის, ცოდნა ძიუდოს ძირითადი პრონციპების, წესების, უსაფრთხოების პროცედურებისა და ტექნიკური მახასიათებლების შესახებ. სპორტული წვრთნის სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით მსმენელმა შეძლოს ძიუდოს სასწავლო-საწვრთნო ინსტრუქტაჟის წარმართვა, სტრატეგიული გეგმის (მოკლევადიანი და გრძელვადიანი) და განხორციელება. შეასწავლოს მსმენელს, როგორც სპორტული ვარჯიშის ჩატარების ისე ტექნიკური და ტაქტიკური მომზადების პრინციპები. ფიზიკური აღზრდის თანამედროვე საშუალებები და მეთოდები, ბიომექანიკის, ფიზიოლოგიისა და ჰიგიენის ზოგადი საფუძვლები.</p>

პროგრამის აღწერა

ძიუდოს ინსტრუქტორის პროფესიული მომზადების პროგრამაზე სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ სრულწლოვან პირს, რომელსაც აქვს სურვილი მოკლე დროში მიიღოს კვალიფიციური და კონკრეტული ცოდნა/უნარები. პროგრამა შემუშავებულია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად და უზრუნველყოფს აღნიშნული მიმართულებით საჭირო უნარებისა და კომპეტენციების გაუმჯობესებას, რაც საჭიროა კვალიფიციური ინსტრუქტორის მომზადებისთვის. კურსის გავლის შემდეგ მსმენელი მიიღებს თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას და უნარ ჩვევებს 17 წლამდე ასაკის ძიუდოსისტებთან მუშაობისათვის. პროგრამის წარმატებით განხორციელებისთვის სპორტის კოლეჯს გააჩნია შესაბამისი მატერიალური, ადამიანური და საგანმანათლებლო რესურსი, სათანადოდ აღჭურვილი C გარემო. პროგრამას ახორციელებენ მაღალკვალიფიციური პედაგოგები, რომლებსაც აღნიშნული მიმართულებით მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ.

ძიუდოს ინსტრუქტორის პროფესიული მომზადების კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს სხვადასხვა სპორტულ გუნდებსა და კლუბებში, როგორც ინდივიდუალურ პირებთან, ასევე ჯგუფებში.

სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს დანართთან ერთად, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდნა და უნარები.

დაშვების წინაპირობები

ასაკი 18 წელი
სპორტული ტურის შედეგები (იხ. სპორტული ტურის დებულება)
გასაუბრება

სწავლის შედეგები

სხვა სწავლის შედეგები

1. სამუშაოს ორგანიზება და ეფექტური კომუნიკაცია
2. საწვრთნო პროცესის დაგეგმვა
3. საწვრთნო პროცესის წარმართვა
4. მსაჯობა სასწავლო-საწვრთნო და საშეჯიბრო პროცესის ფარგლებში
5. სწორი კვებისა და ჰიდრატაციის მნიშვნელობის განსაზღვრა ძიუდოში ჩართული პირების საჭიროებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით
6. უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა

დასაქმების სფერო/სფეროები

- 10 - მომსახურებები (ფართო სფერო)
- 1014 - სპორტი (დეტალური სფერო)

პროგრამის შემუშავების საფუძვლები

- მწვრთნელის პროფესიული სტანდარტი
- საერთაშორისო (მსოფლიო) ფედერაციის ძიუდოს აკადემიის „კოდოკან ძიუდო“-ს ერთიანი კიუს სისტემა.

ლოკაცია

ლოკაცია:

რეგიონი	რაიონი	მისამართი
თბილისი	თბილისი	ე. ნინოშვილის 55 ბელიაშვილის ქ. 5
იმერეთი	ქუთაისი	გაპონოვის ქ. #11 თამარ მეფის ქ.# 100

სასწავლო რესურსი

N	ტიპი	დასახელება	მოკლე აღწერა
1	სახელმძღვანელო	ვისწავლოთ ძიუდო	საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია. თბილისი 2014წ.
2	სახელმძღვანელო	„ძიუდოს თეორია და მეთოდოლოგია“;	გ. ზუბიტაშვილი; თბილისი 2018წ. (ელ-ვერსია)
	სახელმძღვანელო	„ძიუდოს სამსაჯო წესები“;	გ. ზუბიტაშვილი; თბილისი 2016წ. (ელ-ვერსია)
	სახელმძღვანელო	ანბანი დიდი გზისაკენ (ძიუდოს ანბანი)	ვ. ბალხამიშვილი; 2011 წ.
	სახელმძღვანელო	ძიუდოს განვითარების ისტორია	გ. რატიშვილი; 2010წ.
3	სახელმძღვანელო	„ფიზ. აღზრდის თეორია და მეთოდოლოგია“	გ. კახიძე; თბილისი 2013წ.
4	სახელმძღვანელო	სპორტული წვრთნის საფუძვლები,	მატკვევი ლ. თბ. 1987წ

ადამიანური რესურსები

სახელი	ვაჟა
--------	------

გვარი	ბალხამიშვილი
დაბადების თარიღი	11.07.1958წ.
პირადი ნომერი	01020000745
სქესი	მამრობითი
მოქალაქეობა	საქართველო

განათლება

ტიპი	უმაღლესი
დაწესებულება	საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი
კვალიფიკაცია	ფიზ. აღზრდის მასწავლებელი; ჭიდაობა ძიუდოს მწვრთნელი

ტრენინგები

--	--

სამუშაო გამოცდილება

<p>1981-1987წწ. ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვების პროტული სკოლა, მწვრთნელი ძიუდოში</p> <p>1987-1993წწ. სპორტ. საზოგადოება მართვე, მწვრთნელი ძიუდოში</p> <p>1997-დღემდე საქართველოს ოლიმპიური რეზერვების სასწავლებელი; საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი, უფროსი მწვრთნელი, ძიუდო</p> <p>2014წ. დღემდე - სპორტის კოლეჯი, მასწავლებელი (ძიუდოს სპეციალობა)</p>

ადამიანური რესურსები

სახელი	კახაბერ
გვარი	მოცრაძე
დაბადების თარიღი	23.01.1974წ.
პირადი ნომერი	54001018794
სქესი	მამრობითი
მოქალაქეობა	საქართველო

განათლება

--	--

ტიპი	უმადლესი
დაწესებულება	საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია
კვალიფიკაცია	მწვრთნელ-მასწავლებელი ჭიდაობა სამბო

ტრენინგები

სამუშაო გამოცდილება

1999-2007წწ. საქ. სახ. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია, ჭიდაობის კათედრა, უფროსი მასწავლებელი
 2008წ. დღემდე საქ. ქალთა ნაკრების გუნდის მწვრთნელი ძიუდოში
 2011წ. დღემდე საქ. ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი, ქალთა ძიუდოს მწვრთნელი

ადამიანური რესურსები

სახელი	დაზმირ
გვარი	ონიანი
დაბადების თარიღი	15.05.1949წ.
პირადი ნომერი	60001009531
სქესი	მამრობითი
მოქალაქეობა	საქართველო

განათლება

ტიპი	უმადლესი
დაწესებულება	ქუთაისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტი
კვალიფიკაცია	საშ. სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი

სამუშაო გამოცდილება

ადამიანური რესურსები

სახელი	გრიშა
გვარი	რატიანი
დაბადების თარიღი	02.08.1947წ.
პირადი ნომერი	60001047522
სქესი	მამრობითი
მოქალაქეობა	საქართველო
განათლება	
ტიპი	უმაღლესი
დაწესებულება	სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, ფიზ. აღზრდისა და სპორტის ფაკულტეტი
კვალიფიკაცია	ფიზ. აღზრდის მასწავლებელი
სამუშაო გამოცდილება	
<p>1976-1979წწ. ქუთაისის 67-ე პროფტექნიკუმი, ფიზ.აღზრდის მასწავლებელი</p> <p>1979-1985წწ. ქუთაისის მე-4 პროფტექნიკუმი, ფიზ.აღზრდის მასწავლებელი</p> <p>2000-2014წ. ქუთაისის 37-ე სკოლა, ფიზკულტურის პედაგოგი</p>	



სპორტული აკრობატიკის ინსტრუქტორი (თბილისი)- პროფესიული მომზადების პროგრამა

ზოგადი ინფორმაცია	
პროგრამა - უფლების მოპოვებით	
პროგრამის სახელწოდება	სპორტული აკრობატიკის ინსტრუქტორი
პროგრამის სახე	პროფესიული მომზადება
განხორციელების ენა	ქართული
სფერო	10 მომსახურებები
პარტნიორები	სპორტის უნივერსიტეტი; ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაცია;
კვალიფიკაციის დონე	მე-4
პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	10
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა	20-25სთ
მსმენელთა საერთო რაოდენობა პროგრამაზე	8
მსმენელთა მაქსიმალური რაოდენობა ჯგუფში	8
მსმენელთა მინიმალური რაოდენობა ჯგუფში	6
პროგრამის მიზანი	
<p>სპორტული აკრობატიკის ინსტრუქტორის პროფესიული მომზადების პროგრამის მიზანია მოამზადოს კვალიფიციური სპეციალისტი, რომელსაც ექნება სპორტული ინსტრუქტორისთვის შესაბამისი ცოდნა და უნარ-ჩვევები, მათ შორის, ცოდნა სპორტული აკრობატიკის ძირითადი პრინციპების, წესების, უსაფრთხოების პროცედურებისა და ტექნიკური მახასიათებლების შესახებ. სპორტული წვრთნის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით მსმენელმა შეძლოს სპორტული აკრობატიკისთვის საჭირო სასწავლო-საწვრთნო ინსტრუქტაჟის წარმართვა, სტარატეგიული გეგმის (მოკლევადიანი და გრძელვადიანი) განხორციელება. შეასწავლოს მსმენელს, როგორც სპორტული ვარჯიშის ჩატარების ისე ტექნიკური და ტაქტიკური მომზადების პრინციპები. ფიზიკური აღზრდის თანამედროვე საშუალებები და მეთოდები, ბიომექანიკის, ფიზიოლოგიისა და ჰიგიენის ზოგადი საფუძვლები.</p>	
პროგრამის აღწერა	
